ხაშურის მოამბე

№30 (161) 30 ივლისი, ორშაბათი, 2018 წელი

5 რეგიონის სახელმწიფო რწმუნებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს

როგორც პრემიერმინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომამდე გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, დღეიდან თანამდებობიდან თავისუფლდებიან შემდეგი რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულები: შიდა ქართლის, მცხეთა მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, ქვემო ქართლის და სამცხე - ჯავახეთის გუბერნატორები.

მისივე თქმით, ამ რეგიონებში, ისევე როგორც იმერეთში, უახლოეს დღეებში წარადგენს ახალ სახელმწიფო რწმუნებულებს. „იმ მიზნებიდან გამომდინარე, რაც ჩვენს მთავრობას აქვს გაცხადებული, აუცილებელია ახალი მიდგომები რეგიონის მართვასთან და ცენტრალურ ხელისუფლებასთან კოორდინაციის თვალსაზრისით“, - განმარტა პრემიერმა.



ლუკა მაისურაძე უნივერსიადის ჩემპიონია

ლუკა მაისურაძის წარმატებები არაერთხელ აღგვინიშნავს ჩვენს გაზეთში. ჩვენი სასპორტო სკოლის აღზრდილს (მწვრთნელი ბეგლარ ხარშილაძე) ბევრჯერ გავუხარებივართ ევროპის თუ მსოფლიოს მასშტაბის ტურნირზე მოპოვებული წარმატებებით. ამჯერად პორტუგალიიდან მოვიდა სასიხარულო ცნობა: ლუკა ამ ქვეყანაში მიმდინარე ევროპის უნივერსიადის ჩემპიონი გახდა და ოქროს მედლით დაიმშვენა მკერდი.

ვულოცავთ ლუკას, მის მწვრთნელს, გულშემატკივრებს და ყველას ამ გამარჯვებას და გვჯერა, წინ უფრო მნიშვნელოვანი წარმატებები იქნება.

საინტერესო დისკუსია ევროკავშირისა და ნატოს შესახებ

ხცისის ბიბლიოთეკაში ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის შესახებ შეხვედრა გაიმართა.

„მითები ევროკავშირისა და ნატოს შესახებ“, - ამ სახელწოდების პრეზენტაცია წარუდგინა აუდიტორიას მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილების უფროსმა ნინო სუხიაშვილმა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზურაბ ჩხიტუნიძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე მერაბ ბარბაქაძე, ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის ამერიკული კუთხის კოორდინატორი ქეთევან მეტრეველი, ხცისის ადმინისტრაციული ერთეულის და საჯარო სკოლის წარმომადგენლები, ახალგაზრდები, დაინტერესებული პირები.

გაიმართა საინტერესო დისკუსია. შეხვედრის ინიციატორებმა უპასუხეს აუდიტორიის შეკითხვებს და იმსჯელეს იმ პოზიტიური შედეგების შესახებ, რაც ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას და ინტეგრაციის მიმართულებით განხორციელებულ ძალისხმევას ახლავს თან.

შეხვედრა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინიცირებით და მხარდაჭერით, ასევე ბიბლიოთეკის ამერიკის კუთხის „მობილური პროგრამა სოფლებისთვის“ ტექნიკური მხარდაჭერით მოეწყო. საინფორმაციო კამპანია, რომელიც მიზნად ისახავს მოქალაქეების ინფორმირებას ევროატლანტიკური სტრუქტურების და ინტეგრაციის პოზიტიური შედეგების შესახებ, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში კვლავაც გაგრძელდება.

- სოფლის მეურნეობა -

ბიოფერმერი, რომელიც უნიკალურ ქართულ ჯიშებს ამრავლებს

მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნილება ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტზე. ეკო, ბიო, ორგანული-ეს სინონიმებია და აღნიშნავს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს. ბიოპროდუქტი გულისხმობს მთელ პროცესს, დაწყებულს ფერმერის მიერ მოყვანით და გადამუშავებით დამთავრებული,როცა პროდუქტის წარმოებისას არ გამოიყენება შხამ-ქიმიკატები, ჯანმრთელობისათვის მავნე კონსერვანტები. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტები 20-100 %-ით ძვირია ჩვეულებრივ პროდუქტებზე. სამწუხაროდ, საქართველოს ბაზარი სხვადასხვა სოცილაურ-ეკონომიკური მიზეზების გამო, მზად არ არის ამგვარი პროდუქტების ასათვისებლად, თუმცა მცდელობა ნამდვილად შეინიშნება. მინდა გაგაცნოთ სოფელ ნაბახტევში მცხოვრები ბიოფერმერი, 11 გრანტის მფლობელი, ანზორ მაისურაძე, რომელიც პროფესიით ბიოლოგია და 2006 წლიდან ბიოპროდუქტის,კერძოდ ბიოხორბლის წარმოებითაა დაკავებული. გარდა იმისა, რომ ბიოხორბალს აწარმოებს, მისი ხორბლის კოლექცია 135 სახეობის ქართული ჯიშის ხორბალს ითვლის და უნიკალურ კოლექციად ითვლება. როგორია მოთხოვნა ბაზარზე, რამდენად აკმაყოფილებს ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია ბაზარს, ამ და სხვა კითხვებზე თავად ბატონი ანზორისგან მივიღებთ პასუხს:

–სოფელ ნაბახტევში ვცხოვრობ,ჩემი პროფესიიდან გამომდინარე,გადავწყვიტე ბიომეურნეობით დავკავებულიყავი. დღეს მაქვს 25 ჰა ბიოფართობი, რომელიც არ მუშავდება ქიმიურად,არ მუშავდება ინტენსიურად და მხოლოდ ბიოლოგიურ პრეპარატებსა და მეთოდებს ვიყენებ.

- როგორც ვიცი, ხორბლის წარმოებით ხართ დაკავებული და ქართული ჯიშების კოლეციაც გაქვთ...

–დიახ, ესაა მარცვლოვანი კულტურები, ხორბალი და პარკოსნები. მარცვლოვანებიდან ვაწარმოებ ხორბალს,რადგან მაქვს ხორბლის 135 უძველესი

(გაგრძელება IV გვერდზე)

ყველაფერი დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ - რამდენი დარის გადახდა მოგიწევთ ხელფასიდან ყოველთვიურად და ვისთვის იქნება სავალდებულო ჩართვა ამ სისტემაში?

პარლამენტმა "დაგროვებითი პენსიის შესახებ" კანონპროექტი თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, მესამე მოსმენით მიიღო. მას საბოლოოდ ძალაში შესვლისთვის პრეზიდენტმა უნდა მოაწეროს ხელი.

როგორც ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, აღნიშნულ კანონთა პაკეტი საპენსიო რეფორმის შემადგენელი ნაწილია, რომლის მთავარ მიზანსაც საქართველოში არსებული სოციალური სისტემის სრულყოფა წარმოადგენს.

გთავაზობთ დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ დასმულ ყველაზე აქტუალურ კითხვებზე პასუხს.

ვინ მიიღებს მონაწილეობას დაგროვებით საპენსიო სქემაში ?

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება: დამსაქმებლებზე, საქართველოს მოქალაქეებზე, გარდა არარეზიდენტი ფიზიკური პირებისა; საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ან/და მოქალაქეობის არმქონე პირებზე, გარდა არარეზიდენტი ფიზიკური პირებისა;

ვისთვის არის სავალდებულო დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართვა და ვის შეუძლია მონაწილეობაზე უარის თქმა?

დაგროვებით საპენსიო სქემაში გაწევრება სავალდებულოა ყველა დასაქმებულისთვის, გარდა დასაქმებულისათვის, რომელსაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა 60 წელი (ქალების შემთხვევაში 55 წელი), შესაბამისად ნებაყოფლობითია ყველა დასაქმებულისათვის, რომელსაც კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა 60 წელი (ქალების შემთხვევაში 55 წელი).

თითოეული დასაქმებული ხდება დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე ამ კანონის ამოქმედების შემდეგ პირველი ხელფასის მიღებისთანავე.

თითოეული თვითდასაქმებული ხდება დაგროვებითი საპენსიო სქემის

მონაწილე კანონის ამოქმედებიდან მის მიერ პირველი საპენსიო შენატანის განხორციელებისთანავე. თითოეული თვითდასაქმებული დაგროვებით საპენსიო სქემაში წევრიანდება ნებაყოფლობით.

დასაქმებული, რომელსაც ამ კანონის ძალაში შესვლამდე შეუსრულდა 40 წელი და არ სურს იყოს დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე, უფლება აქვს გავიდეს დაგროვებითი საპენსიო სქემიდან. ამისთვის მან წერილობით უნდა მიმართოს საპენსიო სააგენტოს და გავიდეს დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გაწევრიანებიდან ხუთი თვის განმავლობაში, მაგრამ არანაკლებ სამი თვისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დასაქმებული რჩება დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილედ.

დაგროვებითი საპენსიო სქემის იმ მონაწილეებს, რომელებიც უარს იტყვიან სისტემაში ჩართვაზე, მოგვიანებით კვლავ ექნებათ თუ არა სისტემაში მონაწილეობის მიღების უფლება?

დასაქმებულს, რომელიც უარს განაცხადებს დაგროვებით საპენსიო სქემაში მონაწილეობაზე, შეუძლია ნებისმიერ დროს თავიდან გაწევრიანდეს მასში. მონაწილის ხელახალი გაწევრებისას დამსაქმებლის, დასაქმებულისა და სახელმწიფოს საპენსიო შენატანების განხორციელება დაიწყება გაწევრებიდან ხელფასის პირველი გადახდისთანავე.

დასაქმებული მონაწილე, რომელსაც დროებით შეუჩერდება ხელფასის სახით თანხის მიღება, დროებით შეაჩერებს საპენსიო სქემაში შენატანების განხორციელებას და განაახლებს შეტანას ხელფასის სახით თანხის მიღების აღდგენისთანავე. თუ მონაწილე შეწყვეტს შენატანის განხორციელებას შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის,ან ისეთი მიზეზით, როგორიცაა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა, ბავშვის მოვლისა და ახალშობილის შვილად აყვანის, ან დროებითი ან ხანრგძლივი შრომისუუნარობის გამო, საპენსიო აქტივები რჩება მის ინდივიდუალურ ანგარიშზე.

თვითდასაქმებულ მონაწილეს, რომელიც შეაჩერებს საპენსიო შენატანების განხორციელებას, შეუძლია ნებისმიერ დროს განაახლოს ის.

მონაწილეს, რომელიც გადაწყვეტს საქართველოს მუდმივად დატოვებას, შეუძლია მოითხოვოს საკუთარ საპენსიო ანგარიშზე დაგროვილი თანხის მიღება ერთიანი გადახდის მოთხოვნით ან პროგრამული გატანით. მოთხოვნა დაკმაყოფილდება, თუ მონაწილე წარმოადგენს სხვა ქვეყანაში კანონიერი მუდმივი ცხოვრების უფლების დამადასტურებელ სათანადოდ დამოწმებულ დოკუმენტს. ასეთ შემთხვევაში დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის საპენსიო ანგარიშიდან მისაღებ თანხას ჩამოეჭრება სახელმწიფოს მიერ მის სასარგებლოდ განხორციელებული შენატანის ღირებულება, ხოლო დარჩენილი მისაღები თანხის მოცულობა დაიბეგრება.

ვინ და როგორ ჩაურიცხავს დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილეს თანხას?

დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებული და თვითდასაქმებული პირებისთვის საპენსიო შენატანების დაფინანსება განხორციელდება დასაქმებულის, დამსაქმებლის და სახელმწიფოს მიერ.

დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე დასაქმებულის შენატანების დაფინანსება განხორციელდება შემდეგი სახით:

ხელფასის გაცემისას, თითოეული დამსაქმებელი დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე,თითოეული დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით განახორციელებს შენატანს მასზე გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2%-ის ოდენობით.

დამსაქმებელი ასევე დასაქმებულის სახელით,მის საპენსიო ანგარიშზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით გასაცემი დასაბეგრი ხელფასის 2%-ს გადარიცხავს.

დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე - თვითდასაქმებული განახორციელებს შენატანს თავისი წლიური შემოსავლის 4%-ის ოდენობით.

სახელმწიფო მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე გადარიცხავს 2%-ს დასაბეგრი ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის იმ მოცულობაზე,რომელიც ჯამურად არ აღემატება მონაწილის მიერ წლიური ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის სახით მიღებულ 24 000 ლარს, ხოლო 1%-ს მონაწილის მიერ ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის სახით მიღებულ თანხაზე 24 000 ლარიდან 60 000 ლარამდე.

სახელმწიფო არ განახორციელებს საპენსიო შენატანს მონაწილის მიერ წლიურად დასაბეგრი ხელფასის ან/და თვითდასაქმებულის შემოსავლის სახით მიღებულ იმ მოცულობაზე, რომელიც აღემატება 60 000 ლარს.

საპენსიო სააგენტო არანაკლებ კვარტალში ერთხელ მიაწვდის თითოეულ მონაწილეს ინფორმაციას საკუთარ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე მთლიანი აქტივების ღირებულების შესახებ, შენატანების თარიღების და საინვესტიციო ამონაგების მითითებით.

როგორ შეგვიძლია განვკარგოთ და როდის შევძლებთ მივიღოთ საპენსიო ანგარიშზე არსებულ თანხას.

საპენსიო აქტივები, რომლებიც დაგროვებითი საპენსიო სქემის თითოეული მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე იქნება, წარმოადგენს მონაწილის საკუთრებას. აღნიშნულ საკუთრებაზე განკარგვის უფლება წარმოიშობა მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევისას.

მონაწილის ქონებრივი უფლებები მის საპენსიო აქტივებზე არ შეიძლება დაგირავდეს, უფლებრივად დაიტვირთოს, მასზე საკუთრების უფლება გადაეცეს მესამე პირს ან სხვაგვარად გასხვისდეს მონაწილის მიმართ არსებული რაიმე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან უზრუნველსაყოფად.

მონაწილე, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ უფლებამოსილია, მიიღოს საკუთარ ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე არსებული საპენსიო აქტივის ღირებულების შესაბამისი მოცულობის თანხა მთლიანი თანხის, ერთიანი გადახდის ან პროგრამული ყოველთვიური გატანის (პროგრამულად გასაცემი თანხის ოდენობა გამოითვლება ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე მონაწილის პენსიაზე გასვლის თარიღისათვის რიცხული საპენსიო აქტივების ღირებულების მონაწილის სიცოცხლის მოსალოდნელ დარჩენილ ხანგრძლივობაზე გაყოფით) ფორმით.

საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ, დაგროვილი თანხის ერთიანად გატანა შესაძლებელი იქნება მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ გახდით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი;
2. თუ ქვეყანა დატოვეთ და საცხოვრებლად გადახვედით სხვა ქვეყანაში;
3. მცირე პერიოდის განმავლობაში დაგროვებულია მცირე რაოდენობის თანხა.

მონაწილე, რომელიც გადაწყვეტს პენსიაზე გასვლას საპენსიო ასაკის მიღწევისას, ვალდებულია წერილობით შეატყობინოს საპენსიო სააგენტოს საპენსიო ასაკის მიღწევისას პენსიაზე გასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე და საპენსიო ასაკის მიღწევამდე არანაკლებ 30 დღით ადრე მოითხოვოს საპენსიო ასაკიდან პენსიის გადახდის დაწყება.

მონაწილე უფლებამოსილია, გადადოს პენსიაზე გასვლის თარიღი საპენსიო ასაკს მიღმა და დაიწყოს პენსიის მიღება ნებისმიერ დროს საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, მონაწილემ წერილობით უნდა შეატყობინოს საპენსიო სააგენტოს პენსიაზე გასვლის თარიღი არანაკლებ ასეთ თარიღამდე 30 დღით ადრე.

საპენსიო სააგენტო დაიწყებს პენსიის გადახდას მონაწილის ინდივიდუალური საპენსიო ანგარიშიდან არაუგვიანეს 30 დღეში პენსიაზე გასვლის თარიღის შესახებ შეტყობინების მიღებიდან.

მონაწილეს უფლება აქვს, მიიღოს პენსია შესაძლებლობის შეზღუდვის გამო საპენსიო ასაკის მიღწევამდე, თუ მას მიენიჭება ასეთი სტატუსი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

რა მოხდება საპანესიო ასაკამდე ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში

თუ მონაწილე გარდაიცვალა, მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე არსებული თანხები გადაეცემა მის მემკვიდრეს. გადახდა შეიძლება განხორციელდეს ერთიანი გადახდით ან საპენსიო აქტივების გადატანით მემკვიდრის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, მემკვიდრის არჩევანის შესაბამისად. მემკვიდრის მიერ ერთიანი გადახდით არჩევანის შემთხვევაში გასაცემი თანხა დაიბეგრება.

ორი სამშობლოს შვილის სიზმარ-ცხადი

გასულ წელს, ისრაელის ამჟამინდელ დედაქალაქ თელ-ავივში, გამოიცა სურამში დაბადებული და გაზრდილი მწერლის, **იზოლდა ჯანაშვილი-კრიხელის** წიგნი „სურამული სიზმარ-ცხადი“, რომელშიც, ძირითადად, აღწერილია სურამელ ებრაელთა ცხოვრება მე-20 საუკუნეში.

ვიდრე ამ წიგნის მოკლე მიმოხილვას წარმოგიდგენთ, მინდა მცირე ინფორმაცია მოგაწოდოთ ამ წიგნის ავტორის შესახებ.

იზოლდა ჯანაშვილი დაიბადა 1942 წელს, დაბა სურამში. მან, 1959 წელს, ოქროს მედალზე დაამთავრა სურამის პირველი საშუალო სკოლა, ვიყავით თანაკლასელები. დღემდე გულწრფელი სიყვარულით და პატივისცემით ვიხსენებ ამ უნიჭიერესი, სულიერ-ხორციელად ულამაზესი გოგონას კეთილშობილურ ყოფა-ქცევებს, მის გამორჩეულად ჭკვიანურ საუბრებს, თანაკლასელებისადმი გულთბილ დამოკიდებულებას, სწავლაში ჩამორჩენილებისადმი ზრუნვას

და დახმარებას. იზო, საკუთარი თავისუფალი დროის ხარჯზე, ამეცადინებდა სუსტი აკადემიური მოსწრების თანაკლასელებს. იყო სანიმუშო ყოფაქცევის საჩვენებელი გოგონა, მუდამ მომღიმარი სახით. აქტიურად მონაწილეობდა საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებში. ამ გონებაგაცისკროვნებულ გოგონას ბავშვობიდანვე ემჩნეოდა განსაკუთრებული მიდგომების ნიჭი არა მარტო საკლასო ლიტერატურისადმი, არამედ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების ირგვლივ მსჯელობებში.

სხვადასხვა წრეებში მისი გამოსვლები ყოველთვის იმსახურებდა ყურადღებას და მოწონებას. იგი წარმოგვიდგებოდა არა როგორც სკოლის მოწაფე, არამედ როგორც ცხოვრებით დაბრძენებული მოქალაქე, რომელსაც უნარი შესწევს განჭვრიტოს მომავალი.

მიკვირს, როგორ ვერ შევნიშნეთ მასში ჩაბუდებული ის რაღაც იდუმალი, რაც მის პიროვნებაში იმალებოდა. ეს იყო განცდა ორი სამშობლოს შვილობისა და ორივეს სიყვარული, საქართველოსი, რომელიც აშკარად უყვარდა, ეფერებოდა და უმღეროდა და ისრაელისა, რომელიც მის წარმოდგენაში იჯდა იდუმალი მყუდროებითა და სულიერი სისპეტაკით.

ალბათ ასეთმა, დღემდე შეუცნობელმა მდგომარეობამ უკარნახა მწერალს წიგნის დასათაურება და ეს გასაგებიცაა. სურამში ცხადში იყო და ისრაელი ესიზმრებოდა, ახლა ისრაელშია ცხადში და სურამი ესიზმრება. ორივე სამშობლო ხომ სულიერად ზრდიდა და აყალიბებდა მის მოქალაქეობრივ მრწამსს, დაყრდნობილს ზოგადსაკაცობრიო იდეალებსა და ზნეობრიობაზე.

ჩვენო საყვარელო მეგობარო იზოლდა, შენ ორივე მიწის საამაყო შვილი ხარ. ვერც სიზმარში და ვერც ცხადში ვერავინ დაგვაყვედრებს მათზე სიარულს. შეგიძლია იამაყო ორივე სამშობლოს ურთიერთსიყვარულით და იმ ადამიანთა დამოკიდებულებებით, რომელთა გულებშიც ზიხარ, როგორც სიყვარულის, მეგობრობის და რწმენისადმი ერთგულების სიმბოლური შუქურა.

იზოლდა ჯანაშვილმა-კრიხელმა ხსენებული წიგნის გამოცემით უკვდავების ძეგლი აუგო სურამში მე-20 საუკუნეში მცხოვრებ ებრაელობას, რომლებმაც, ქართველ ხალხთან ერთად, გადაიტანეს ამ ჯოჯოხეთური საუკუნის შავბნელი ქარტეხილები, რევოლუციები, ომები, რეპრესიები, კონფლიქტები, პოლიტიკური რყევები, დამცირება, ღმერთის უარყოფის ქადაგება, მორწმუნეთა დევნა, უსამართლო კანონების ზემოქმედება და ა.შ.

მწერალი მიუკერძოებლად აღწერს იმ სიმახინჯეს და სინამდვილეს, რაც ფესვგადგმული იყო იმდროინდელ ცხოვრებაში. მის სასახელოდ, ერთხელაც არ წამოცდენია საყვედური ქართველი ხალხის მიმართ, რომელთა გვერდითაც ებრაელობამ გაატარა ორათეულ საუკუნეზე მეტი, თუმცა, მტკივნეულად აღნიშნავს ცალკეულ შემთხვევებს, როცა სახელმწიფოს არაკეთილსინდისიერ მოხელეთა მხრიდან, ადგილი ჰქონდა ებრაელებისადმი დამოკიდებულებაში ზნეობის, მორალის თუ კანონის მოთხოვნების დარღვევებს და გადაჭარბებას.

ცალკეულ მოხელეთა, ძირითადად კი მილიციის მხრიდან, თავაშვებულობის გამოვლინებებს მწერალი უკავშირებს საქართველოში ბოლშევიკების შემოსვლას, რომელთა იდეოლოგიამ ბრძოლა გამოუცხადა სარწმუნოებას და ყოველგვარ ეროვნულ ტრადიციებს. მოგეხსენებათ, ურწმუნო და გაუნათლებელი კაცი რამდენად საშიშია.

იმდროინდელი კანონმდებლობით იკრძალებოდა ვაჭრობა, რაიმეს ყიდვა და გაყიდვა-გამორჩენის მიზნით და ისჯებოდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით ჯარიმიდან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთით, ქონების კონფისკაციით.

წარმოიდგინეთ, ახლა რომ ისეთი კანონი მოქმედებდეს, მოსახლეობის რამდენი პროცენტი აღმოჩნდებოდა გისოსებს მიღმა.

სურამში მცხოვრებ ებრაელთა გარკვეული ნაწილი სწორედ ასეთი აღებ-მიცემობით ირჩენდა თავს.

სურამში ჩიტის რძესაც კი იშოვიო, ამბობდნენ მაშინ. ფარულ სავაჭრო ქსელში შეგვეძლო შეგვეძინა ყველაფერი, ნემსიდან დაწყებული უახლესი ნიმუშების ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, საოჯახო და სხვა ნივთების ჩათვლით.

ეს საქმე დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. როგორც მწერალი ამბობს, ხშირად ხდებოდა „აბლავები“, „ობისკები“, „ჩაშვებები“, „ჩასაფრებები“, „შანტაჟი“, სავაჭრო საქონლის წართმევა-ჩამორთმევები და ა.შ. რის შედეგადაც სახელმწიფოს უპატიოსნო მოხელენი გვარიანად ითბობდნენ ხელს.

„გამოჭერილებს“ ციხეში წასვლის ნაცვლად ერჩიათ ქრთამის მიცემა, თუმცა, ხშირად ესეც ვეღარ შველოდა საქმეს და მოვაჭრეთა ოჯახები რჩებოდნენ ულუკმაპუროდ, ყოველგვარი შემოსავლის გარეშე.

მწერლის მიზანი არ არის მხოლოდ უარყოფითის წარმოჩენა და ასეთ უმსგავსოებაზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ ამის ართქმაც არ შეიძლებოდა. ყველას უნდა ეყოს ვაჟკაცობა და სინამდვილეს შეხედოს თვალებში. რეალობას ვერსად გაექცევი. ცხოვრება არც ისე მშვენიერია, რომანტიკოსებს რომ წარმოუდგენიათ, იგი ჯოჯოხეთის ნაწილიცაა.

მწერლის მიზანია, აჩვენოს მსოფლიოს ებრაელი ხალხის სულის გაუტეხელობა, გამძლეობა, რომელმაც თავისი ისტორიული მიწა-წყლის სიყვარული და სარწმუნოების ერთგულება თაობიდან თაობას გადასცა და უცვლელად შემოუნახა მას მამა-პაპისეული ტრადიციები.

ამავე დროს, მწერალი ცდილობს საზოგადოებას გააცნოს და შთამომავლობას შემოუნახოს იმ ღირსეულ ებრაელთა ხსოვნა, რომლებიც დაიბადნენ სურამში და თავისი ღირსეული სასულიერო თუ საერო მოღვაწეობით სახელი გაუთქვეს საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეს.

დიახ, სურამს შეუძლია იამაყოს, რომ მე-20 საუკუნეში მის წიაღში აღმოცენდნენ, ფეხი აიდგეს, დავაჟკაცდნენ და ფასდაუდებელი მიღწევებით თავისი სიტყვა თქვეს მეცნიერებაში, ხელოვნებაში, სპორტში, რელიგიასა თუ სხვა მიმდინარეობებში.

შევეცდები, მკითხველს ძალიან მოკლედ მივაწოდო ინფორმაცია ამ ღირსეულ ადამიანთა ნაწილის შესახებ:

- **მიხეილ ჯანაშვილი-როკეტლიშვილი.** დაიბადა 1928 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და ეკონომიკური ფაკულტეტები. დაიცვა მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხები. მიენიჭა დამსახურებული ეკონომისტის და პროფესორის წოდებები. არის რამდენიმე ქვეყნის და დარგობრივი აკადემიების წევრი, ასევე ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, 70-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის და 9 მონოგრაფიის ავტორი. დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორდენით. ამჟამად, ცხოვრობს ნიუ-იორკში.
- **დიანა იაკობის ასული დავარაშვილი** (1910-1992 წწ) პოეტი. ექიმი. მინიჭებული აქვს აჭარის დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება. მისი შვილის, ბესიკის მიერ გამოძერწილი მინიატურული ჭადრაკი, რომელიც ხელის გულზე ეტევა, შესულია გინესის წიგნში, როგორც უნიკალური ნამუშევარი.
- **სიმა ჯანაშვილი.** პოეტი. საზოგადო მოღვაწე. სურამის მეხოტბე.
- **აბრამ მიხაელის ძე ჯანაშვილი** (1947-1999), ისრაელში ახლადდასახლებულთა შორის პირველს მიენიჭა ისრაელის დამსახურებული ინჟინრის წოდება..
- **იაკობ შალომის ძე ფიჩხაძე**, ცნობილი მხატვარი, პედაგოგი.
- **გურამ იოსების ძე ხარაზიშვილი**, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.
- **სიმონ ნანიკაშვილი** – ბიზნესმენი, ქველმოქმედი.
- **სარა დავარაშვილი** – ავტორი წიგნისა „საქართველოს ებრაელთა სამზარეულოს საიდუმლოებანი“.
- **ყეზრა გაბრიელის ძე დავარაშვილი** – (1941-2016 წწ), ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, მისი დისერტაცია წიგნად გამოიცა ინგლისში.
- **იცხაკ შალომის ძე წიწუაშვილი** – ისრაელის სამხედრო მრეწველობის თვალსაჩინო წარმომადგენელი. მრავალი მნიშვნელოვანი საიდუმლო ოპერაციის დამგეგმავი. ისრაელის უშიშროების სამსახურის გენერალ-მაიორი. სრულყოფილად ფლობს ხუთ ენას.
- **სოსოს ჯინჯიხაშვილი**, ცნობილი მხატვარი, გრაფიკოსი.
- **სიმონ არიელის ძე ჯანაშვილი** – ცნობილი ქორეოგრაფი. ქართული ცეკვები უჩვენა მსოფლიოს მრავალ ქვეყანას. დაჯილდოებულია საქართველოს ღირსების ორდენით.

წიგნში თავისი საინტერესო ბიოგრაფიებით მოხსენიებული არიან „სურამელოდ“ წოდებული **აბრამ ჯანაშვილი, მაზალ-ტობ ჯანაშვილები და მარო ჯანაშვილი-ისრაელაშვილი**, ასევე **შალომ გაბრიელის ძე, რახამინ გაბრიელის ძე და იოსებ დავარაშვილები, იაშა მეირის ძე და დავით კოჟიაშვილები, ეფრაიმ მიხეილის ძე მანაშეროვი** და სურამის მადლიან მიწაზე ფეხადგმული სხვა დამსახურებული ადამიანები.

ავტორი დიდი პატივისცემით და გულისტკივილოთ იხსენებს მეორე მსოფლიო ომის დროს მონაწილე სურამელ ებრაელებს.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ წიგნის გამოცემით მან

(დასასრული IV გვერდზე)

ორი სამშობლოს შვილის სიზმარ-ცხადი

(დასასრული)

უკვდავყო იმ ადამიანთა სახეები, რომლებიც დაიღუპნენ ომის დროს სხვადასხვა ვითარებაში და ცოცხლები დაბრუნდნენ მშობლიურ სურამში.

ცოცხალთა შორის მოხსენიებული არიან და ისრაელში წავიდნენ მუდმივსაცხოვრებლად: ალელიშვილი დავითი მენახემის ძე, ასტაჯანოვი მიხაილ იაკობის ძე, რომელიც დაჯილდოებულია შვიდი ორდენითა და მედლით, დავარაშვილი ფერეს გაბრიელის ძე, დავარაშვილი შალომ გაბრიელის ძე, კოჟიაშვილი ირმიაჟ მოშეს ძე – ესეც დაჯილდოებულია შვიდი მედლით, კოჟიაშვილი სიმონ მოშეს ძე, ნამთალაშვილი ეფრაიმ იაკობის ძე, ფიჩხაძე რუბენ იოსების ძე, ფიჩხაძე სიმონ დავითის ძე, ჯანაშვილი სიმონ ხაიმის ძე, ჯანაშვილი მიხაელ გაბრიელის ძე, რაბი ჯანაშვილი მოშე – დაჯილდოებულია სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით და მდლებით, ჯანაშვილი რუბენ ელოს ძე, სურამში გარდაიცვალა მენახემ გაბრიელის ძე ჯანაშვილი, ხოლო საზღვარგარეთ – სიმონ ფილხაზის ძე ჯანაშვილი.

სამამულო ომში დაიღუპნენ ან უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ: კოჟიაშვილი ბენიამინი, მანაშეროვი ბენიამინი, მიხელაშვილი მიხაელო მოშეს ძე, ჯანაშვილი სებია, ჯანაშვილი ისახარ ელოს ძე, ჯანაშვილი მიშა ელოს ძე.

წიგნის ზოგიერთი ადგილის კითხვის დროს რაღაც იდუმალი გრძნობა შეგაძრწუნებს, ანგარიშგაუწევლად ერთდროულად იფეთქებს გულში აგრესია, შურისძიების გრძნობა, ბოღმა და ზიზღი იმათ მიმართ, ვინც არაადამიანურად ექცეოდა ამ უნიჭიერესი და უკეთილშობილესი ხალხის შვილებს. განსაკუთრებული სიმძაფრით გინდა ყელში ხელი წაუჭირო და მოახრჩო ფაშისტები, რომლებმაც მე-20 საუკუნეში უდიდეს ტრაგედიას გადაყარეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხალხები და განსაკუთრებით, ებრაელობა. და ისევ გებადება კითხვა: როგორ გაუძლო ამ ხალხმა ასეთ განსაცდელს?

ამ დროს, თითქოს ისმის უზენაესის ხმა: შეჩერდი! განგების ძალით ბოროტება დამარცხდება. ებრაელ ხალხს ვერავინ შეურყევს ადამიანური არსებობის მთავარ საყრდენს – რწმენას. ამ ხალხს გადაშენება არ უწერია. მოვა დრო და აღსდგება მათი ქვეყანა, მსოფლიოში გაფანტული ერი ერთად შეგროვდება, ერთ მუშტად შეიკვრება და ჩადგება დედამიწაზე განვითარებული ქვეყნების რიგებში. მათ სიძლიერეს ანგარიშს გაუწევენ დედამიწაზე კიდით-კიდემდე.

და აი, აღსრულდა ნება ღვთისა! დაემხო ფაშიზმი, ბოლშევიზმი და სხვა სისხლიანი რეჟიმები, ფასი დაედო ადამიანის ღირსებას და თავისუფლებას.

ებრაელი ხალხის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერება 1947 წლის 29 ნოემბერი, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სხდომაზე, 3000 წლის მოლოდინისა და იმედის შემდეგ, შეიქმნა ისრაელის სახელმწიფო

მოდი და ნუ აფორიაქდები. 3000 გატანჯული წელი მშობლიურ მიწაზე სიცოცხლის გაგრძელების რწმენით, რამდენი თაობა წავიდა მათი ისტორიული სამშობლოს აღდგენის ნატვრასა და მოლოდინში.

საოცარია, რა ძალამ გადაატანინა ამ ხალხს ის გაჭირვება, რომლის წარმოდგენაც ჟრუანტელს გვრის სარად მოაზროვნე ადამიანებს.

პასუხი ალბათ უნდა ვეძებოთ რწმენის ერთგულებასა და ურყეობაში. რწმენის შენარჩუნებას კი სჭირდება თავდადებული, მისაბაძი ადამიანების პიროვნული მაგალითები. ასეთ მაგალითებს კი ებრაელებს აძლევენ ჭკვიანი, თორის მცოდნე, ჯამაათის წინამძღოლი რაბინები და ხახმები.

იზოლდა ჯანაშვილმა ფასდაუდებელი სამსახური გაუწია სურამის ებრაელობას წინამძღოლთა ბიოგრაფიული მონაცემების თავშეყრით და წიგნში მოთავსებით. ეს ადამიანები უკვე ისტორიის კუთვნილებანი არიან, მაგრამ მათი ვინაობა დაუვიწყარი უნდა იყოს იმ ადამიანთა შორის, მათი ლოცვით რომ გაუძლეს არაადამიანურ სიძნელეებს, შეინარჩუნეს ეროვნული ტრადიციები, რელ;იგიური დღესასწაულების აღნიშვნის რიტუალები, უძველესი მშობლიური ენა და ა.შ.

სასულიერო ხელმძღვანელების დამსახურებაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს,თანაც ეს წიგნის განმეორებას დაემსგავსება,ამიტომაც მხოლოდ მათ გვარ-სახელსა და დაბადება-გარდაცვალების წლებს შეგახსენებთ. ესენი იყვნენ:

- რაბი დავით მეირის ძე ჯანაშვილი, დაიბადა 1887 წელს რელიგიური მოღვაწეობის გამო დახვრიტეს 1924 წელს, 37 წლის ასაკში;
- ხახამ ბენიამინ მეირის ძე ჯანაშვილი (1891-1966 წწ.);
- ხახამ გაბრიელ რახიმის ძე დავარაშვილი (1896-1985 წწ.);
- ხახამ ხაიმ იცხაკ გაბრიელის ძე ჯანაშვილი (1899-2001 წწ.), რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურა სურამის ჯამაათს და 23 წელი ისრაელისას. გარდაიცვალა ისრაელში 102 წლისა;
- ხახამ მეირ იოსების ძე მიხელაშვილი (1870-1963 წწ.);
- ხახამ აბრამ შალომის ძე ჯანაშვილი (1911-1982 წწ.);
- ხახამ მიხაელ გაბრიელის ძე ჯანაშვილი (1913-1998 წწ.).

წიგნის ავტორი ყურადღებას არ ამახვილებს და ცალკე თემად არ გამოყოფს ებრაელთა მრავალშვილიანობას, მაგრამ დაინტერესებული მკითხველი აუცილებლად მიაქცევს ყურადღებას ამ საკითხს, რადგანაც ნაშრომში მოხსენიებული ოჯახების უმრავლესობაში იზრდებოდა ათამდე შვილი თითოეულში.

სურამელ ებრაელთა მრავალშვილიანობაზე ლაპარაკობს წიგნში მოცემული ცნობებიც. მაგალითად: 1803 წელს აქ ცხოვრობდა 12 კომლი, ე.ი. 100-მდე ადამიანი. 1922 წელს – ათასი, ხოლო 1970 წელს – 1641 ადამიანი.

ისტორიულ სამშობლოში – ისრაელში, 1972 წლიდან, ებრაელთა მასობრივად წასვლის გამო, დღეისათვის ძალიან შემცირებულია მათი რიცხვი და ალბათ შეადგენს რამდენიმე ათეულ ადამიანს.

იზოლდა ჯანაშვილი-კრიხელის ნაშრომი „სურამული სიზმარ-ცხადი“ იმდენად ახლობელია ჩემი და უფროსი თაობის მოქალაქეებისთვის, რომ მიზანშეწონილად მიმაჩნია ეს ძვირფასი წიგნი იდოს სურამელ და მრავალ დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ ყველა ებრაელურ და ქართულ ოჯახში.

ავტორის დიდი ძალისხმევის შედეგად წიგნში წარმოდგენილია სურამელთა (ძირითადად ებრაელთა) ფოტოგალერეა, სადაც ბევრი ჩვენი თანატოლის ან ნაცნობ-მეგობართა სახეა აღბეჭდილი.

ეს წიგნი ძვირფასი საგანძურია სურამელ ებრაელთა ისტორიის მოკლე მონაკვეთის შემონახვის საქმეში. თუმცა, წიგნში ვხვდებით განვლილი ეპოქის ცალკეული პერიოდების სურამის ისტორიის მოკლე მიმოხილვებსაც.

სამწუხაროა, რომ ეს უნიკალური წიგნი ძნელად ხელმისაწვდომია ფართო მასებისთვის. იგი მხოლოდ 500 ეგზემპლარის ტირაჟითაა გამოცემული.

წიგნს დიდ ღირსებას მატებს თანდართული ლექსიკონი, სადაც განმარტებულია ისეთი სიტყვები და ტერმინები, რომლებიც მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი თანაცხოვრებისა, ქართულ მეტყველებაში იშვიათად ან საერთოდ არ გამოიყენება. ამით კი იგი უფრო საინტერესო და მიმზიდველია.

მკითხველისთვის, მგონი, უინტერესო არ იქნება თვითონ იზოლდა ჯანაშვილი-კრიხელის სკოლის შემდგომი ცხოვრების განვლილი გზის შესახებ მოკლე ინფორმაციის მიწოდება.

მან დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კვების მრეწველობისა და ტექნოლოგიის ფაკულტეტი. ცოლად გაჰყვა გაბრიელ კრიხელს. ქმართან და სამ შვილთან ერთად ცხოვრობდა ქ. გორში. სამწუხაროდ, მისი ოჯახური ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა, გარდაეცვალა მეუღლე და თერთმეტი წლის გოგონა. ამის შემდეგ გადაწყვიტა ახლობლებთან ერთად გამგზავრებულიყო ისრაელში მუდმივ საცხოვრებლად. ჰყავს ორი შვილი, ხუთი შვილიშვილი და სამი შვილთაშვილი. 30 წლის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. სხვადასხვა დროს იყო ისრაელში გამომავალ ქართულენოვან ჟურნალ „დროშა“-ს კორესპონდენტი და რედაქტორის მოადგილე, ჟურნალ „სიონის“ რედაქტორი, დაარსა საკუთარი გაზეთი „დვორა“, რაც ქართულად ნიშნავს ფუტკარს. ეს სახელწოდება შერჩეულია ერთ-ერთი წინასწარმეტყველი ქალის საპატივცემულოდ. მონაწილეობდა ისრაელში გამომავალ ყველა ქართულ ჟურნა-გაზეთების სარედაქციო მუშაობაში. არის ორი წიგნის ავტორი. სახელმწიფოს მიერ მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და წახალისება, მათ შორის ორი ოქროს მედალი. არის ისრაელის აქტიური და ავტორიტეტული მოქალაქე. მონაწილეობს მაღალი დონის შეხვედრებში, დელეგაციათა შემადგენლობაში, კონფერენციებსა და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებში.

მოკლედ, ასეთია ჩვენი თანამემამულის, სურამში გაზრდილი ერთ-ერთი ებრაელი გოგონას, იზოლდა ჯანაშვილი-კრიხელის ცხოვრების გზა, რომელზეც სიამაყით მიაბიჯებს ორად გაყოფილი და სიყვარულით გაერთიანებული გულით.

შემდგომ წარმატებებს გისურვებთ შემოქმედებასა და პირად ცხოვრებაში, ჩვენო საყვარელო და საამაყო იზოლდა.

რევაზ გრიგალაშვილი

(გაგრძელება)

ჯიში, რომელთაგან 5 ენდემურია. მათ შორის, გამოვყოფ ერთ-ერთს, გადაშენების პირას მყოფ ჯიშს, კოლხიკუმს, რომლის ოთხი ფორმაც მაქვს. საქართველოს არც ერთ გენ.ბანკში არ მოიძებნება და მე გამაჩნია.

- ეს კოლექცია როგორ მოხვდა თქვენთან?

–ეს კოლექცია აკადემიკოს პეტრე ნასყიდაშვილის მეშვეობით მოხვდა ჩემთან.

- სოფლის მეურნეობა -

ბიოფერმერი, რომელიც უნიკალურ ქართულ ჯიშებს ამრავლებს

სავალალო მდგომარეობაში მყოფი, დასაწყობებული კოლექცია გადმომეცა ფაქტობრივად, გავაღვიძე და განვაახლე. მეც მქონდა 40 სახეობა, მაგრამ უდიდესი ნაწილი პეტრე ნასყიდაშვილის კოლექციიდანაა. 2006 წლიდან ვაწარმოებ და პოპულარიზაციას ვეწევი ხორბლის ქართული ჯიშების.

- რითი გამოირჩევა ქართული ჯიშები ინტენსიური ჯიშებისგან?

–ეს არაა მაღალმოსავლიანი, არაა ინტენსიური წარმოების, კვებითი ღირებულება ძალიან მაღალია, ერთი ოთხთან თანაფარდობით, არის ტემპერატურის გამძლე, გლობალური დათბობა მისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

- წარმოებაში რამდენი ჯიშის ქართული ხორბალი გაქვთ?

–ამ ეტაპზე, ინტენსიურ ფორმაზე მაქვს ჭვავი, წითელი დოლი თეთრი დიკა და შავფხა, ოთხი სახეობა, რომელსაც საწარმოო ფორმა მივეცით და ვაწარმოებთ ფქვილებს, რომლებსაც ვაწვდით ბიოპურის მწარმოებლებს.

- ნებისმერი ბიოპროდუქტი, ნაკლები მოსავლიანობით ხასიათდება, ხორბლის შემთხვევაში როგორაა და რამდენად მომგებიანია მისი წარმოება ფერმერისთვის?

–წელს, 12 ჰა-დან, დაახლოებით 30 ტონა ხორბალი მივიღე, კალოობა შედარებით გვიან იწყება სხვა ინტენსიურ ხორბლებთან შედარებით, მისი მოსავლიანობა 1 ჰა-ზე 2-2,5 ტონაა, თუკი მის ეკონომიკურ მხარეს და უპირატესობებს გავითვალისწინებთ, ხუთჯერ აღემატება ინტენსიური ხორბლის ფასს. ბიოხორბლის ფასი, საშუალოდ, ორი ლარია, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ 1 ჰა-ზე, ჩვენ ვიღებთ 10 ტონა ხორბალს.

- ბიოხორბალზე მოთხოვნა როგორია ქართულ ბაზარზე?

(დასასრული V გვერდზე)

მირიან ბარბაქაძე - პატარა ქართველი მოსკოვში, რომლის სახელს მომავალშიც არაერთხელ გავიგებთ

მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდისთვის დაგვითმია ჩვენი გაზეთის ფურცლები, რომელთა მათგანითაც, ჩვენ მუნიციპალიტეტთან ერთად, საქართველოც იამაყებდა. ბევრმა მათგანმა კი ქვეყნის სახელი საზღვარგარეთაც გაიტანა.

ამ გზას დიდი სიამოვნებით ვაგრძელებთ. ამჯერად, „ხაშურის მოამბისთვის," ყველასათვის კარგად ცნობილი მეცნიერის, ვლადიმერ ბარბაქაძის ოჯახის კარი გაიღო. გაგიკვირდებათ და,ჩვენი ვიზიტის უმთავრესი მიზანი არა ბატონი ლადო და მისი დიდებული მიღწევები იყო, არამედ, მისი 13 წლის ვაჟიშვილი მირიანი. პატარა რესპოდენტმა კი, ჩვენი ყურადღება, მისი არაჩვეულებრივი მუსიკალური მონაცემების გამო მიიპყრო. რთულია, მის ასაკში სამომავლო პროფესიასა და კარიერაზე ისაუბრო, თუმცა, საუბრიდან ნათლად გამოჩნდა, რომ მისი მუსიკასთან მეგობრობამ, რა ხანია, ღრმად გაიდგა ფესვები და ცხოვრების კრედოდ იქცა. ის შესანიშნავად მღერის და უკრავს ფორტეპიანოზე.

ვიმედოვნებთ, რომ, მისი სახით, საქართველოს ნამდვილი ვირტუოზი ეზრდება.

მირიანი, ოჯახთან ერთად, მოსკოვში იზრდება, შესაბამისად, მშობლიურ ენას სათანადოდ ვერ ფლობს, რაც მამის გულისტკივილის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს. თუმცა, აღვნიშნავ, რომ სწავლების პროცესი აქტიურ ფაზაშია. გამომდინარე იქიდან, რომ ზაფხულის არდადეგების ნახევარს ხაშურში ატარებს, ენის შესწავლის პროცესი საკმაოდ გაადვილებულია.

დამეთანხმებით და ეს აქსიომადაც კი იქცა, რომ არცერთი სხვა ერის წარმომადგენელი ისე მძაფრად არ გამოხატავს საკუთი ქვეყნის მონატრებას, როგორც ქართველი კაცი. არ აქვს მნიშვნელობა, წარმატებული იქნები თუ დაფასებული, როგორც ეს ბატონი ლადოს შემთხვევაშია, ნოსტალგია შენი ქვეყნისა მთელი ცხოვრება თან გსდევს და ბედკრული საქართველოს შვილობა ყველაზე მეტად გეამაყება. ჩვენ, ადვილად შევნიშნეთ, თუ როგორი ქართული სულისკვეთებით იზრდება მირიანიც. ერთ მომენტში ბატონი ლადო საუბარში ჩაერთო და აღნიშნა: „მირიანი აუცილებლად დაბრუნდება საქართველოში, შექმნის ნამდვილ, ქართულ ოჯახს, ეყოლება ქართველი მეუღლე და მისი შვილები აღიზრდებიან ქართულ მიწა-წყალზე, ტრადიციების სრული დაცვით." ეს თითქოსდა ბრძანებითი კილო, სინამდვილეში, უდიდესი მამაშვილური მზრუნველობის გამომხატველი იყო. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ქათველების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიშან-თვისება სტუმართმოყვარეობა - ეზოში შესვლითანავე ვიგრძენით. მირიანმა საოცრად გულთბილი დახვედრით გაგვიღო როგორც ეზოს, ასევე, გულის კარებიც.

ჩვენი შეხვედრის ორგანიზება ბარბაქაძეების ოჯახის და ასევე რედაქციის მეგობარმა, არაჩვეულებრივმა პედაგოგმა და განუმეორებელმა ნანი გაჩეჩილაძემ ითავა. ამასთან ერთად, იგი მირიანის ფორტეპიანოს მასწავლებელია და საოცრად ამაყობს ნიჭიერი მოსწავლით. უკვე სამი წელია ეს ურთიერთობა გრძელდება. აქტიური და შედეგიანი მეცადინეობით კი მირიანი მრავალ კონკურსში იღებს მონაწილეობას და საკმაოდ წარმატებითაც. მოსწავლე-მასწავლებელს საუკეთესო ურთიერთობა აქვთ. საქებარი სიტყვები კი არც პედაგოგმა დაიშურა: „საოცარი მონაცემების გახლავთ მირიანი. მისი და ფორტეპიანოს იდუმალ კავშირზე ბევრი რამ შეიძლება ითქვას. ერთხელ მირიანმა მითხრა კიდეც, რომ როდესაც ფორტეპიანოზე ვუკრავ, თითქოს ცაში ვფრენ, თითქოს ფრენა უფრთოდაც შემიძლიაო... მერწმუნეთ, მისი ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი, ჩემი წარმატება იქნება.

პირადად ვესაუბრეთ მირიანსაც. გონებამახვილობა და სისხარტეც ადვილად შესამჩნევი იყო. მუსიკით ასე მძაფრად დაინტერესებაზე და სამომავლო გეგმებზე ინტერვიუდან შეიტყობთ.

- მირიან, პირველად როდის დაინტერესდი მუსიკით?

– მუსიკით პირველად ექვსი წლის ასაკში დავინტერესდი. სკოლაში, მუსიკის პედაგოგთან მეცადინეობისას, თავად პედაგოგმა შეამჩნია ჩემი ვოკალური მონაცემები და მას შემდეგ აქტიურად ვმეცადინეობ. შემდგომში, სწავლა მოსკოვში, მუსიკალურ სასწავლებელში გავაგრძელე და, ამჟამადაც, იქ ვწვლობ. სხვათაშორის, დაახლოებით, 4 წლის წინ, ოპერის მომღერალმა გიორგი გაგნიძემ მომისმინა და აღნიშნა, რომ კარგი მონაცემები მქონდა და მუშაობის შედეგად, ბევრს მივაღწევდი. მისმა პასუხმა ძალიან გამახარა და მუსიკა კიდევ უფრო მეტად შევიყვარე.

- მუსიკალურ კონკურსებზე თუ იღებ მონაწილეობას?

– მრავალ კონკურსში მივიღე მონაწილეობა, დიპლომებიც და სიგელებიც დავიმსახურე ბოლოს მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში სახელწოდებით „მსოფლიოს ტალანტები", სადაც კონკურსის ლაურიატი ვიყავი და დიპლომით დამაჯილდოვეს. სამომავლოდ ვგეგმავ კონკურსში მონაწილეობას, რომლისთვისაც ვიკერავ ტრადიციულ ქართულ ჩოხას და შევასრულებ ქართულ სიმღერას.

- როგორ ფიქრობ, ვოკალური კუთხით გაყვები მუსიკას თუ ფორტეპიანოს აირჩევ?

– ფორტეპიანოზე დაკვრა ძალიან მიყვარს, მაგრამ სამომავლოთ ვოკალური კუთხით ვფიქრობ ჩემი ძალების გაღრმავებას, რა თქმა უნდა, ფორტეპიანოზეც გავაგრძელებ აქტიურად მეცადინეობას.

- გარდა მუსიკისა, რომელი საგნით ხარ გატაცებული?

– მათემატიკა ძალიან მომწონს. მუსიკის შემდეგ, სწორედ ამ სფეროში ვგრძნობ თავს თავისუფლად.

წარმატებას ვუსურვებთ პატარა მუსიკოსს, დიდი იმედი გვაქვს, რომ მისი სახელი საერთაშორისო ასპარეზზე არაერთხელ გაიჟღერებს.

რა თქმა უნდა, გვსურდა, რომ ჩვენი შეხვედრის ძირითადი მიზეზი მირიანი ყოფილიყო, თუმცა, გვერდი ვერც ბატონ ლადოს ავუარეთ. ვერც ავუვლიდით. ვლადიმერ ბარბაქაძე უდიდესი მეცნიერი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აქტიური წევრია. 2003 წელს კი, ერთ-ერთ ვარსკვლავს, დათვის თანავარსკვლავედში, მიენიჭა ბატონი ვლადიმერ ბარბაქაძის სახელი. იმედია, ასეთივე აღიარებას, ამჯერად მუსიკალური კუთხით, მისი გენის გაგრძელება – მირიან ბარბაქაძეც მოიპოვებს.

თინა ახალკაცი

- სოფლის მეურნეობა -

ბიოფერმერი, რომელიც უნიკალურ ქართულ ჯიშებს ამრავლებს

(დასასრული)

ჩვენ ვცხოვრობთ იმ ეპოქაში, სადაც ნებისმიერი პროდუქტი მძიმე მეტალებით არის გაჯერებული და მაღალი ტოქსიკურობით ხასიათდება, მიუხედავად ბიოპროდუქტის მაღალი საბაზრო ფასისა, მოთხოვნა ყოველწელს მატულობს,

განსაკუთრებით, ეს შეიმჩნევა ბიოპურზე, რადგან პური ჩვენი კვების რაციონის 60 % მოიცავს.

- საქართველოში წარმოებული ბიოხორბალი აკმაყოფილებს ბაზარზე არსებულ მოთხოვნილებას?

– ჩემი წარმოების დინამიკას თუ გადავხედავ

თ, 2006 წელში გავყიდე 400 კგ დოლი და წელს გავყიდი დაახლოებით 30 ტონას. ეს დეფიციტური პურია, ორი თვეა ბაზარს ვერ ვაწვდი ხორბალს, რაც ნიშნავს, რომ მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას. მინდა ვთქვა და ბუნებრივიცაა, რომ მოთხოვნა ძირითადად თბილისიდან მოდის. ადგილობრივ ბაზარზე ჯერ დიდი მოთხოვნა არაა ფასიდან გამომდინარე, თუმცა, წინსვლა ამ მხრივაც შეინიშნება. ბიოპურის წარმოება საკმაოდ მარტივია და საოჯახო პირობებშიც ცხვება შეშის ღუმელებში.

- რადგან ბაზარზე მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება, გამოდის, რომ ბიო წარმოებით არც ისე ბევრი ადამიანია დაკავებული...

– ჩვენ გვაქვს საქართველოს "მეხორბლეთა ასოციაცია", რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც გახლავართ, სულ მოვითვლით 15 ადამიანს, ვინც ბიოხორბალს აწარმოებს, რაც, დამეთანხმებით, ძალიან ცოტაა არსებული ბაზრისთვის. წელიწადში, ბიოხორბლის რაოდენობა, დაახლოებით 200 ტონაა, რაც ინტენსიურად მიწოდების შემთხვევაში, მხოლოდ ერთი დღის ნორმაა. ვცდილობთ, დავიკავოთ ის ნიშა, რომ არსებობს ბიოპური და არის ქართული.

- როგორც ვიცი, სულ რამდენიმე დღის წინ, თქვენს ბიოფერმერულ მეურნეობაში დიდი სტუმრიანობა იყო...

– რამდენიმე დღის წინ მყავდა სტუმრები მეცნიერებათა აკადემიიდან და ჟურნალისტები საზოგადოებრივი მაუწყებლიდან, ასევე, მედიცინის მუშაკები, რომლებმაც შეისწავლეს და დაამუშავეს ინტენსიური ხორბალი. ჟურნალისტებმა გადაიღეს ყველა პროცესი, დაწყებული ხორბლის აღებით, გადამუშავებით და ცხობით დამთავრებული. მანამდე მყავდნენ ამერიკელი და გერმანელი სპეციალისტები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ასეთი კოლექცია ჯერ არსად გვინახავსო. განსაკუთრებით ხაზგასასმელია კოლექციაში "ზანდური", "მახა" და შავი ქერი- ამ მხრივ, ჩემი კოლექცია ნამდვილად უნიკალურია.

- მკითხველისთვის სამომავლო ამბებიც საინტერესო იქნება...

– გარდა 25 ჰექტრისა, რომელიც საკუთრებაში მაქვს, ვიყიდე 7 ჰა, დასამუშავებელი მიწის ნაკვეთი. ნელ-ნელა ვფართოვდები. ვაძლევ მაგალითს სხვა ფერმერებს, რომ თუ უნდათ ქართული, ბიოხორბლის წარმოება, საქართველოში გვაქვს ამის შესაბამისი გამოცდილება და განათლება, შესაძლებლობა იმის, რომ სათესლე მასალაც მივაწოდოთ და სწავლების მეთოდებიც. დიდი სიამოვნებით დავეხმარებით ყველა მსურველს.

თ. ჯავახიშვილი

– ჩვენი მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტები –

ულუმბოს მონასტერი

ულუმბოს მონასტერი დაარსებულია ცამეტი ასურელი მამათაგან ერთ-ერთის – მიქაელ ულუმბოელის მიერ. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: „ჭერათხევის სერის ზეით არის მონასტერი ულუმბას, უგუნბათო, დიდი, დიდშენი, მიქაელ იგ(13) მამათაგანის ქმნული და დაფლულ არს მიქაელ მუნვე. ზის წინამძღვარი.”

ულუმბო საფუძვლიანად დაურღვევია თემურლენგის ლაშქარს. ულუმბოს მონასტრის მეორედ აღშენების თარიღი 1400-1415 წლებით სახელდება.

ულუმბოს ამჟამინდელი ეკლესია 1871 წელს არის აღდგენილი. საბჭოთა პერიოდში აქ, ღვთისმსახურება შეწყვეტილი იყო. ბოლო პერიოდში, უძველესი ტაძრის გვერდით აშენდა წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი. დღეს, ამ კომპლექსში მამათა მონასტერია.

მზია ხაბეიშვილი - დედა მასტრიდია

დედა მასტრიდია გარდაცვლილა - ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული დედაო დღევანდელ საქრისტიანო საქართველოში, მე კი მასზე - ქალბატონ მზია ხაბეიშვილზე უნდა ვისაუბრო, ხაშურის რკინიგზის 3 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელზე, უკეთილშობილესი სულისა და დიდი პროფესონალიზმის მქონე ადამიანზე, რომელსაც კოლეგებიც და ნამოწაფრებიც დღემდე განსაკუთრუთრებული პატივისცემით იხსენებენ.

1985 წლის აპრილში, ჩემი მშობლიურ სკოლის კარი იმჯერად როგორც დირექტორმა შევაღე და იქ ჩემს ყოფილ, უფროსი თაობის პედაგოგებთან ერთად, დამხვდნენ საშუალო თაობის მასწავლებლები, რომლებსაც უკვე მოეპოვებინათ საყოველთაო სიყვარული და აღიარება.

სწორედ ასეთი მზია ხაბეიშვილი გავიცანი მე და, იმ დღიდან მოყოლებული, მისგან ვსწავლობდი არა მხოლოდ საქმისადმი დიდ სიყვარულს, ამავე დროს, ის ძალიან ჩვეულებრივად და ძალიან ხშირად მეც და ჩემს ახალგაზრდა კოლეგებსაც გვიტარებდა ადამიანობის საოცარ გაკვეთილებს.

მშვიდი, მუდამ გაწონასწორებული, აკადემიური ქალბატონის ფიზიკის გაკვეთილები კი მართლაც იყო საჩვენებელი და განსაზოგადებელი და ასეც ხდებოდა, მისი გაკვეთილები ხშირად ზოგადდებოდა იმდროინდელი ამიერკავკასიის სასწავლო დაწესებულებებს შორის, მაგრამ რაც განსაკუთრებით მხიბლავდა ამ ადამიანში, იყო ის, რომ ამით არასოდეს გაამაყებულა, ეს ყველაფერი ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა, მისთვის მთავარი იყო ერთი პრინციპი: - ადამიანმა თავისი მოვალეობა ყოველგვარი ხმაურის გარეშე უნდა შეასრულოს.

რკინიგზის ხაშურის 13 საშუალო სკოლის ოქროს მედლით დამთავრების შემდეგ, მისი ყველა მასწავლებელი თვლიდა, რომ მზია მათ საგანს აირჩევდა მომავალ პროფესიად, რადგან ის ყველა საგნის ცოდნაში შეუდარებელი იყო, მან ფიზიკოსობა არჩია და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, თუმცა იქვე დატოვეს სამუშაოდ, ბედმა და უფრო საკუთარმა სურვილმა მშობლიურ ხაშურს დაუბრუნა და აქ გაშალა ფრთები, როგორც პედაგოგმა და მოქალაქემ, რომელიც ამ წარმატებულ მოღვაწეობას შესანიშნავად უთავსებდა, ყოფილიყო სანიმუშო ოჯახის დიასახლისი, მეუღლე და დედა. სამი კარგი შვილი გაზარდა, მაგრამ ცხოვრების ჩარხმა ჯერ მეუღლის , შემდეგ ვაჟიშვილის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი განაცდევინა, თუმცა ესეც ღირსეულად გადაიტანა და თავისი მომავალიც განსაზრვრა - სულიერებაში უნდა შესულიყო და მონასტრის კედლებში გადაეტანა თავისი დიდი სულიერი შესაძლებლობები.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. დღეს დედა მასტრიდია ტოვებს საწუთისოფლოს და მარადიულ სოფელში მიემგზავრება. გზა ხსნილი და ია-ვარდით მოფენილი ყოფილიყოს მისი სავალი...

.შ. იტრიის დედათა მონასტერში ყოფნისას რამდენჯერმე მოვინახულე, მაშინ დედა მარიამნად მოიხსენიებდნენ. ვისხედით მონასტრის ეზოში და ვსაუბრობდით. ის არ ლაპარაკობდა წარსულზე, საუბრობდა მხოლოდ მომავალზე. ერთ-ერთი ასვლისას კი მითხრა: თქვენთვის ერთი პატარა ბარათი მაქვს გადმოსაცემი, ადრინდელია, სკოლის პერიოდისა, თქვენ გეკუთვნით და თქვენთან იყოსო.

სახლში მისვლამდე გავხსენი მისთვის ჩვეული სიფაქიზით შეკრული კონვერტი, რომელშიც ორი პატარა ფურცელი აღმოჩნდა; ერთი -ძველი, გაცრეცილი და ერთიც -ახალი. ამ უკანასკნელზე ეწერა: „ბ-ნო მურად! მაპატიეთ ფურცლის სიძველის გამო. ეს მაშინაა სუფრასთან დაწერილი. ვერ გავბედე თქვენთვის მოძღვნა. ძალიან გთხოვთ, არავითარი რეაგირება არ მოახდინოთ ამ წერილზე. თუ რამედ გიღირდეთ, შეინახეთ. პატივისცემით

2 აგვისტო, 2005 წელი

მეორე, გაყვითლებულ ფურცელზე კი პატარა ლექსი ეწერა, რომელიც მას ექსპრომტად უძღვნია 1986 წლის 5 თებერვალს, როცა საკანდიდატო დისერტაციის დაცვასთან დაკავშირებით, ჩემმა მასწავლებლებმა და კოლეგებმა გულთბილი საღამო გამართეს.

გარეთ თოვს, სულში საამო
განწყობილება სუფევს,
მეც მინდა რამე გითხრათ და
ფიფქებში ვეძებ რითმებს.
ბევრი ვისმინე დღეს თქვენზე
საამოდ თქმული სიტყვა,
ნეტავ ამ კერის აღზრდილზე
მსგავსი მრავალზე ითქვას!

არ გამიტეხავს სიტყვა. ამდენი წლის მერე, მხოლოდ ახლა ჩავთვალე საჭიროდ მის დიდ ადამიანურ სითბოს სწორედ ამ ბარათით მივახლებოდი და სწორეთ ასეთი სითბოთი და სიყვარულით დავმშვიბებებოდი ჩემთვის პატივსაცემ და ძვირფას ადამიანს.

მურად მთვარელიძე

D

იყიდება!

სოფელ კოდისწყაროში, ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, იყიდება სამოსახლკარო (სააგარაკე) მიწის ნაკვეთები, 500 კვადრატიდან.
ტელ: 551 503 135. სულიკო.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.